



სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახური

დეალკოჰოლიზებული ღვინო ყურძნის კონცენტრატით და სტევიოზიდით



მიღებულია შაქრის დამატების გარეშე, შემცველად გამოყენებულია ყურძნის კონცენტრატი;
გამოირჩევა მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებებით და იცავს ადამიანის ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისგან;
გააჩნია პროფილაქტიკული დატვირთვა ქრონიკული დაავადებების მიმართ და ასევე კვებითი ფუნქცია.

დაბალალკოჰოლიანი ღვინო „საფარავი“

(მშრალი, ალკოჰოლი 8% მოც. შაქარი $< 0.5\%$)
ღვინის საწყისი მონაცემების კორექტირება ტარდება დეალკოჰოლიზებული ღვინო საფერავის გამოყენებით, თანაფარდობა 2:1.



ხიხვი



საფარავი

დაბალალკოჰოლური კუაჰირებული ღვინო „ხიხვი“

ღვინის საწყისი მონაცემების კორექტირება ტარდება დეალკოჰოლიზებული ღვინო საფერავის გამოყენებით, თანაფარდობა 2:1. გათვალისწინებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით (რესვერატროლი, ანტოციანები, კატეხინები) ბალანსირება და კალორიულობის შემცირება, რასაც თანამედროვე მედიცინის შეხედულებიდან გამომდინარე აქვს არსებითი მნიშვნელობა.



სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



სოფლის მეურნეობის
საბუნების-კვლევითი ცენტრი



სოფლის მეურნეობის
საბუნების-კვლევითი ცენტრი



პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახური

პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახური

ღვინის დეალკოქოლიზაცია და მრავალმხრივი გამოყენება

ამჟამად, დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს ღვინის დეალკოქოლიზაცია. სამეცნიერო ლიტერატურაში თანდათან იმატა მონაცემებმა, რომლებიც უკავშირდება უალკოჰოლო ღვინის სასარგებლო ფუნქციებს. არის გამოკვლევები, რომელთა თანახმადაც ალკოჰოლის მოცილების შედეგად ფენოლური ნაერთების ჟანგვის საწინააღმდეგო პოტენციალი მნიშვნელოვნად მატულობს. დამცავი ფუნქცია განსაკუთრებით გააჩნია წითელ ღვინოს ანტოციანების შემცველობის გამო.

საჭიროა, გათვალისწინებულ იქნას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO, 2003) რეკომენდაციები და ევროპული რეგლამენტის მოთხოვნები (EC1924/2006), რომელთა თანახმადაც საჭიროა შაქრის მოხმარების მნიშვნელოვანი შეზღუდვა (გამოვლენილია >50 ნეგატიური მოვლენა).

ამჟამად, ჯანსაღი კვებისადმი მისწრაფება თანდათან იკრებს ძალას, მნიშვნელოვნად შეიცვალა კვებითი ინდუსტრიის ორიენტაცია - ეს არის ფუნქციონალური კვება და მიმართულია შეუნარჩუნოს ადამიანს ჯანმრთელობა.

მიზანი - დეალკოქოლიზებული ღვინისა და ეკოლოგიურად შედარებით სუფთა ხილის გამოყენებით, შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავების საფუძველზე დაბალკალორიული, საჭირო ნივთიერებებით ბალანსირებული პროდუქტების მიღება. აღნიშნულის საფუძველზე მათ ექნებათ როგორც კვებითი, ასევე პროფილაქტიკური და დიეტური დანიშნულება ქრონიკული დაავადებების მიმართ, ამასთან, დეალკოქოლიზებული ღვინის საფუძველზე დაბალალკოჰოლიანი ღვინის მიღება.

სასმელი - მარნიდან, დეალკოქოლიზირებული ღვინო + მოცვის წვენი, სტავიოზიდით (ან სტავიოზიდით და ყურძნის კონცენტრატით)



მოცემა ჭეშმარიტად დაიმსახურა არა მხოლოდ კვებითი, არამედ თერაპიული მნიშვნელობის რეპუტაციაც, იგი აღიარებულია როგორც ერთ-ერთი მთავარი პროდუქტი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად; დეალკოქოლიზებულ ღვინოსთან კომპლექსში მიიღება საჭირო ნივთიერებებით მტკნარ ბალანსირებული პროდუქტი - ფენოლური ნაერთები, მაკრო და მიკრო ელემენტები.

ენერგეტიკული ღონე <25 კკალ.

დეალკოქოლიზირებული ღვინო თაფლით ან ყურძნის კონცენტრატით - ყურძნისა



სასმელი - საფარავი S - დეალკოქოლიზირებული ღვინო სტავიოზიდით

მიღებულია მშრალი ტიპის ღვინისგან (ალკოჰოლის შემცველობა 12,4%, მოც.), გამოყენებულია ვაკუუმდისტილაციის მეთოდი.

სასმელი გამოირჩევა ფენოლური ნაერთების, განსაკუთრებით კი ანტოციანების შემცველობით, რაც განაპირობებს ანთიოქსიდანტურ აქტივობას. გარკვეული რაოდენობით არის წარმოდგენილი მაკრო და მიკრო ელემენტებიც. სასმელის ტკბილ და სასიამოვნო გემოს განაპირობებს სტევიოზიდი. იგი ამავე დროს არეგულირებს სისხლში გლუკოზის დონეს, გააჩნია ინსულინოტროპული და ანტიჰიპერგლიკემური მოქმედება.

სასმელი გამოიყენება ქრონიკული დაავადებების, განსაკუთრებით კი დიაბეტის პროფილაქტიკისთვის. ამავე დროს გამოირჩევა კარგი სენსორული თვისებებით.

